№ 114 თიბათვე 4, კვირა 1889 თიბათვე 4, კვირა № 114

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ხასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღეს, ოთხს თიბათვეს, თორმეტ საათზე, სააზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია ტფილისის სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის მრევლის საზოგადო კრება. თავმჯდომარეს ახლად შემდგარის მზრუნველობისას აქვს განზრახვა მოახსენოს კრებას ეკკლესიისა, მრევლისა და სკოლის საჭიროებანი. საზოგადო კრებამ უნდა მოიპოვოს საშუალება ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. (1—1)

## ტფილისის ქართველთა ინტელიგენცია

წინა წერილებში ვეცადეთ გამოგვეხატა, რამდენად საჭიროა სამრევლო მზრუნველობათა დაფუძნება ქართველთა ეკკლესიებთან, რამდენად შეუძლიათ ამ სამრევლო მზრუნველობათ სამსახური გაუწიონ ტფილისის ქართველობას. ჩვენა ვსთქვით, რომ ამ საქმეში მეთაურობა ტფილისის ქართველ განათლებულმა და დაწინაურებულმა კაცებმა, ინტელიგენციამ უნდა იტვირთოსო.

მართლაც-და წინ ვინ უნდა წაუძღვეს ყოველ გვარ საერო და საერთო საქმეს, თუ არ ინტელიგენცია, თუ არ განათლებული და ნასწავლი დასი, რომელიც გაუნათლებელ და უსწავლელისაგან იმითი განსხვავდება, რომ ქვეყნის საერთო კეთილდღეობის მზრუნველი, მომვლელი, ხელის-შემწყობი და მოღვაწე უნდა იყოს ყოველთვის და ყველგან, ყველა ხალხში. იმ განათლებულ კაცთ განათლებულის სახელი არ ეკუთვნისთ, თუ მზრუნველი და მოღვაწე-მშრომელი არ არის თავისის საზოგადოების, თავის ერის წარმატებისათვის. თუ ამ კაცთა საერთო მუშაობაში წილი არ უდევთ, მათი განათლება და სწავლა მკვდარი, გამოუყენებელი იარაღია მათ ხელში. ამიტომ კიდეც ბუნების კანონი მათ სასტიკადა სჯის და ეს განათლებულნი და სწავლულნი ჩამკვდარებულნი, მიყრუებულნი და დაჩლუნგებულნი არიან თავის უფერულ, უაზრო და უგულო ცხოვრებით. ამისთანა კაცები ცხოვრობენ, სჭამენ, სმენ, ლაპარაკობენ, სჯიან, ლხინობენ კიდეც, მაგრამ ყოველივე ეს სიცოცხლეს მოკლებულია, აზრს მოკლებულია, ფრთა არ ასხია თავისის თავის და გარეშეთა ყოფა-ცხოვრების ასამაღლებლად. ასეა კაცი, რომელსაც კაცს არ უკავშირებს თავის ცხოვრებას, თავის ცოდნას, სწავლას, ჭკუას, რაც-კი რამ შემთხვევასა და გარემოებას სიკეთე მიუნიჭებია.

სამწუხარო ყოფაა ტფილისის ქართველ ინტელიგენციის ყოფა. მხოლოდ ძცირედი ნაწილი ამ ინტელიგენციისა მუშაობს საზოგადო საქვეყნო ასპარეზზე და უმეტესობა-კი განმარტოებულია. ამიტომ შესამჩნევს ამბავსა ვხედავთ: გვყავს განათლებული კაცები, ინტელიგენტები და იმათი მოღვაწეობა არსადა ჩანს. ის ერთი მოღვაწე ნაწილიც, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ, მხოლოდ ქართულ მწერლობას ახვევია, ან თითო-ოროლა საზოგადო, ან ქველმოქმედ დაწესებულებაში სკუპია.

აბა შეხედეთ სომეხთა ტფილისის ინტელიგენციას. სად არა ჰხედავთ? ყველგან, სადაც-კი საზოგადო ცხოვრების ნიშან-წყალია, ყველგან თავი მოუყრია: ტფილისის ქალაქის რჩევაში (დუმაში) უმრავლესობა მას ეკუთვნის, ყოველ სამეცნიერო და საქველ-მოქმედო კრებაში ესწრება, სომეხთა სამრევლო მზრუნველობა ყოველ ეკკლესიასთან და ყოველ სომეხთა სკოლის გამგებლობა მის ხელშია, ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულების შემდგენელი და მმართველი იგია, ათი-თხუთმეტი სხვა-და-სხვა გვარი სომეხთა საქველ-მოქმედო ამხანაგობა აქვს შედგენილი, ექვსი-შვიდი ჟურნალ-გაზეთი აქვს და ყველა ეს ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისშია.

შეადარეთ სომხობა ქართველობას რიცხვით და გაიკვირებთ, რომელსაც დაინახავთ, რომ სომხობა ერთი ორად მეტი არც-კია ქართველობაზე (44 ათასია). რისაგან არის სიძლიერე სომეხთა ინტელიგენციისა და მისის მოქმედებისა. განა მართლა მეტია განათლებულ სომეხთა რიცხვი განათლებულ ქართველობაზე. სრულებითაც არა. მათი რიცხვი თითქმის ერთი და იგივეა. მაღალ სასწავლებლებში სწავლა მიღებულ სომეხთა და ქართველთა რიცხვი თითქმის თანაბარია. მაშ რისაგან არიან სომეხნი უფრო დაწინაურებულნი? იმით, რომ მიხვედრილნი არიან, რა ძალა აქვს ერთმანეთთან კავშირს, ერთობას. სომხობის ინტელიგენციაც რომ ისე ცხოვრობდეს, როგორც ტფილისის ქართველი ინტელიგენტი დაქსაქსულად, არც მას ექნებოდა რამე ძალ-ღონე და იმ გვარსავე უფერულს ცხოვრებას წარმოგვიდგენდა.

აი ამიტომ ვამბობთ, რომ დროა ტფილისის ქართველ ინტელიგენციამ შეიგნოს ძალა ერთად მოქმედებისა და მეთაურობა გაუწიოს ტფილისის ქართველობას, ხელი მოუსწიდოს სამრევლო მზრუნველობას და შემოიერთოს გზა-კვალ დაბნეული ტფილისის ქართველი საზოგადოება და ქალაქის ქართველი დანარჩენი მოსახლეობა. ეს მისი ვალდებულებაა, მისი დანიშნულებაა, და მისი სიკეთე ამაში უნდა გამოჩნდეს.

თუმცა წარსულ დროს ინტელიგენციის ყოფას ამაოდ ჩაუვლია, მომავლისათვის უიმედო არ უნდა ვიყოთ. ბევრი ღირსეული, ძვირფასი და საყვარელი თვისება შერჩენია ტფილისის განათლებულ და დაწინაურებულ კაცებს. ვის არ გვსმენია მათი გულის შემატკივრობა, თანაგრძნობა კეთილის საქმისა, მაგრამ ამ პატიოსან გრძნობას მოქმედება ჰკლებია და ეს მოქმედება სხვა თავის მსგავსთა შეუერთებლად, უკავშიროდ, ისევ გრძნობად დარჩენილა დღევანდლამდე. ამ კეთილ გრძნობის, ამ ლმობიერის გულის იმედი გვაქვს და კვალად და კვალად მას მივმართავთ და ვისურვებთ გრძნობა საქმედ შეეცვალოთ, სიტყვა მოქმედებად, ცალ-ცალკეობა ერთობად და სხვებთან კავშირად. იმედს ნუ დავკარგავთ, რომ ბოლოს ტფილისის ინტელიგენტი მართლა მეთაური შეიქნება ტფილისის ქართველობისა და მისის ყოფა-ცხოვრების მზრუნველობისა.

პ.

## ახალი ამბავი

*** დღეს დილის თორმეტ საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია კრება სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის სამზრუნველოსი. კრებამ უნდა აირჩიოს რამდენიმე წევრი სამზრუნველო საბ-

# ფელეტონი

## სანომ მათიკევინა

ქართულს მწერლობაში ზაქათალის მაზრას ეძახიან „საინგილოს". ეს სახელი დაერქვა მაზრას იმისათვის, რომ აქ მცხოვრებ ქართველებს ამ ჟამად ჰქვიანთ სახელად ინგილო. ეს სახელი დაურქმევიათ მათთვის მუსულმანებს, როცა ძალ-მომრეობით მიუღებინებიათ მაჰმადის სჯული. სიტყვას ინგილო აქვს ისეთივე მნიშვნელობა თათრის სჯულში, როგორიცა აქვს ქრისტიანეთათვის სიტყვას კათაკმეველი. ასეთი წოდება იმათა აქვთ მითვისებული 1602 წლიდგან. ეს დრო ის დროა, როცა შაჰ-აბასმა, სპარსეთის მეფემ, „მიულო ალექსანდრეს (მეფეს) კაკი და მის წილ მისცა შვიდასი თუმანი ყოველს წელს" (იხ. ქართლ. ცხოვ. მე-II ნაწ., გვ. 111). ამ დრომდე უბედურს ინგილოებს ერქვათ სახელად ქართველი და ზაქათალის მაზრა შეადგენდა კახეთის სამეფოს ერთს უმთავრესს ნაწილს. იგი განიყოფებოდა ორ საერისთოდ. ეხლანდელის კახის საბოქაულოს ნაწილს ეწოდებოდა წუქეთი და იყო საერისთო წუქეთისა, ხოლო საბოქაულონი: ალიაბათისა, მუხახისა, ჭარისა და ბელაქნისა იწოდებოდნენ საერისთოდ ენისელისა და ამ საერისთოებში მცხოვრები ხალხი მთლად ქართველობა იყო. ამ მიზეზისა გამო ლეკნი და თათრები, აგრეთვე ყველა მუსულმანები კავკასიისანი ზაქათალის მაზრას დღევანდლამდე ეძახიან გურჯისტან—საქართველო. მაგრამ ამ ჟამად გურჯისტანში სცხოვრებს სამი ხალხი: ინგილოები, ქართველები და ლეკები, დაღისტნიდგან გადმოსახლებულნი (იხ. ქართ. ცხოვ. მე-II ნაწ., გვ. 108), და თათრები, მონგოლთა ურდოების ნაშთნი. მაგრამ უკაცრაოდ, იქნება ვცდებოდე. ბ-ნი ა. ს. უზბაშევი, სწერს სტატისტიკურს კომიტეტს, რომ ინგილოები ქართველები არ არიანო. ქართველებად ის რაცხს მხოლოდ იმ ინგილოებს, რომელთაც ქრისტიანობა მიუღიათ. იმის აზრით, ალიაბათელები, ინგიანელები, მოსულელნი, მაქსნელები, თასმალოელები, ზაგნელები და სხვანი არიან ინგილოები და არა ქართველები. ქართველები არიან მხოლოდ კაკელები, ალიბეგლოელები და სხ. თუ არა გჯერათ, იხილეთ „Статистическій Временникъ Кавказскаго края, Закатальскій округъ", გვერდი მე-20 და მე-22. სოფელი ალიაბათი, მოსული და სხვ., რომელთა მცხოვრებნიც ინგილოდ არიან წოდებულნი, ხოლო კაკელები, ალიბეგლოელები და სხ. გაქრისტიანებულნი ინგილონი, ქართველებად არიან ჩარიცხულნი. ამ განზრახვით თვით სოფელი ყორაღანი ორად არის განაწილებული: ერთისათვის დაურქმევია Караганъ-Ингило, მეორისათვის—Караганъ-Мусульманъ, მაგრამ ნამდვილად-კი ერთი სოფელია. აქ საჭირო იყო მხოლოდ თქმა: სოფელი ყორაღანი, და მერე ახსნა, რომ ამ სოფელში მცხოვრებ ინგილოების ნახევარი ქრისტეს სჯულს აღიარებს, ხოლო მეორე ნახევარი მაჰმადიანობს, მაგრამ გვარ-ტომობით-კი, ორივე სჯულის მიმდევარნი ქართველნი არიანო. ბ-ნმა უზბაშევმა ამ სამართლის თქმა არ ინება და ქართველი ხალხი—ინგილოები ორად გაჰყო, და გამუსულმანებული ინგილოები კი რომელს ტომს ეკუთვნიან, არ გვატყობინებს *). ბ-ნმა უზბაშევმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ყველა ინგილოები ქართველთ ერთვნების შთამომავლობას ეკუთვნიან. აგრეთვე კარგად იცის, რომ ინგილო ქართულს ენაზე მოლაპარაკე ხალხია, ხოლო ენა ინგილოებისა, მათი ზნე, ჩვეულება და ისტორიული წარსული ამტკიცებს, რომ იგინი შთამომავლობით ქართველნი არიან. მაგრამ ხსენებულს ადამიანს ინგილოები, ვინ იცის, რა მიზეზით, თვალში ეხჩირება ეკალივით და ამისათვის გულითად მოწადინებულია მოსპოს მათი მნიშვნელობა მაზრაში. ის ანაწილებს ქართველობას, მათს რაოდენობას ამცირებს და ამიტომ, რასაკვირველია, ქართველობას მნიშვნელობა აკლდება. ეჭვი არა მაქვს, ბ-ნმა უზბაშევმა იცის, რომ ლეკი ლეკად დარჩება, არაბი არაბად, სომეხი სომხად, თათარი თათრად, ქართველი ქართველად, თუნდა რომ კიდეც შეიცვალონ თავიანთი სარწმუნოება; ინგილო რომ გამაჰმადიანდეს, ამით შთამომავლობა, რასაკვირველია, ქართველობისა არასოდეს არ დაეკარგება: იგი იქნება შთამომავლობით იგივე ქართველი, ხოლო სჯულით მაჰმადიანი. მაგრამ ბ-ნ უზბაშევს ყველაფერი სხვაფრივ ესმის. ამიტომ უგზო-უკვლოდ გადადის ერთის აზრიდგან მეორეზე. გამოდის, რომ იმის აზრით არც სარწმუნოებით შეიძლება რომლისამე ხალხის შთამომავლობის გამოცნობა. მაგალითად, ზოგს გაქრისტიანებულ ინგილოებს ის ქართველებად სცნობს, მაგრამ სოფელს თასმალოში მცხოვრებ ქრისტიან ინგილოების გვარტომობას რომ შეეხება, ამბობს, რომ ისინი ინგილოები არიან და არა ქართველებიო. აქ რომ დადგეს, კიდევ კარგი. მაგრამ ჩირიკა ჩიტივით გადადის და გადმოდის აქა-იქ. თუ ქრისტიანე თასმალოელები შთამომავლობით ქართველები არ არიან, ყორაღანის მუსულმანი ინგილოები, იმის აზრით, ვერსად წაუვლენ ქართველობას. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია, რატომ არის ეს ასე, რომ ზოგი ინგილო შთამომავლობით ქართველია, ზოგი-კი არა. ყველანი ხომ ინგილოები არიან! ეჰ, მახლას! სჯობს თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს და შევუდგეთ ინგილოების მდგომარეობის განხილვას.

„Изъ богатаго запаса свѣдѣній" г-на Узбашева სჩანს, რომ ზაქათალის მაზრაში სცხოვრობს 74,449 სული. ამათში ურევია 15,529 ქართველი-ინგილო და ამათგან ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებს მხოლოდ 3,843 სული, დანარჩენნი მაჰმადის სარწუნოებას მისდევენ. რიცხვი ინგილოებისა უწინ უფრო ბევრი იყო. ახლა რამდენიც დრო მიდის, იმდენად უფრო მცირდება. ბევრი მათგანი სრულიად ივიწყებს ქართულს ენას, ეთვისება მაჰმადის სჯულს და თათრდება. მაგალითად, სოფ. ყანდახში მცხოვრებნი ყველანი ინგილონი არიან, მაგრამ ამ ჟამად თითქმის აღარავინ ლაპარაკობს ქართულს. ამის გამო ბ-ნ უზბაშევსაც ისინი ადერბეიჯანის თათრის ტომისად ჩაურიცხავს, თუმცა ნამდვილად-კი გვარ-ტომობით ქართველნი არიან. დავიწყებული აქვთ ქართული ენა აგრეთვე სოფ. სოსკანში. აღარ ლაპარაკობენ ქართულს ენაზე აგრეთვე ყორაღნისა, მარსნისა, ლალა-ფაშასი და ვერხიანის ინგილოები. სარწმუნოება მაჰმადისა და შერეული ქორწინება აუქმებს ინგილოებში ქართველობას და ჰკლავს ქართულს ენას. ბევრმა მათგანმა კარგად იცის ქართული ენა, მაგრამ იქამდე გული გადაჰგვარებია, რომ ქრისტიან ინგილოსთან არ იჩენენ თავისს ცოდ-

*) Вышесообщенными данными Кавказскій Статистическій Комитетъ обязанъ А. С. Узбашеву, который въ письмѣ на имя главнаго редактора Комитета, отъ 2 сент. 1887 года, весьма обязательно подѣлился ими изъ богатаго запаса своихъ свѣдѣній о коротко знакомыхъ ему мѣстности и народѣ", ამბობს Временникъ-ი (იხ. ბოლოს Примѣчанія).

ქოსი, გამოიკვლიოს საჭიროებანი მრევლისა და აღმოაჩინოს მათ დასაკმაყოფილებლად საჭირო ღონისძიება. სასურველია, რომ ამ კრებას ბლომად დაესწრნენ ჩვენი მოწინავე საზოგადოების წევრნი და მხურვალეთა და თანაგრძნობით მოეკიდნენ ისეთს კეთილსა და სამადლო საქმეებს, რომელნიც საგნად აქვს ასეთს საეკკლესიო სამზრუნველოებს. მით უმეტეს სასურველია ესა, რომ საეკკლესიო სამზრუნველოთა დაარსება და მოქმედება ახალი საქმეა ჩვენში და ისეთი საქმეც არის, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა მიეცემა, თუ თითოეული ქრისტიანე გულით მოეკიდება და მცირე ზრუნვას არ დაიშურებს სამრევლოს მოწყობისა და განკეთილებისათვის.

*** ჩვენს ტფილისში ჩამოვიდნენ არტისტები ვარშავის საიმპერატორო თეატრებისა, ბ-ნ ბ. ა. ხრჟანოვსკის დირექტორობით, და განზრახვა აქვთ ქართულს თეატრში ბალეტი გაჰმართონ. პირველი წარმოდგენა ბალეტისა იქნება სამშაბათს, 6 ივნისს, და ითამაშებენ სამ-მოქმედებიან ბალეტს: „შამილის ნადიმი კავკასიაში“. ამ ბალეტის დროს იცეკვავენ ქართულად, ლეკურად და სხვა-და-სხვა გვარად. ბალეტს შემდეგ გამართული იქნება დივერტისმენტი, რომლის დროსაც წაიკითხავენ სცენებს, იმღერებენ და იცეკვავენ.

*** ორს ამ თვისათვის დანიშნული კრება მომავალის ყმაწვილთა მზვარეველ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა დანიშნულს საღამოს კრება ვერ შესდგა და ამიტომ სხვა დროისათვის გადაიდვა.

*** ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნად დაიბეჭდება ბ-ნ ნ. ლომაურის მოთხრობა «ბედი უბედურთა», რომელიც 1880 წელს ჟურნალ „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ერთმა ბერმა შეიძინა რამდენიმე ძველი ქართული წიგნი და მათ შორის «ისტორია ფილოსოფიისაო». ეს ბერი გახლავთ დარიის მონასტრის ბერი ნიკონ ჯაბარაშვილი, რომელსაც დიდ ძალი ქართული წიგნები აქვს თურმე. ამ ბერის წიგნთ-საცავი დაუთვალიერებია ბ-ნ ნ. მარს და ა. ხახანაშვილს და ამათ ამ წიგნთ-საცავში რამდენიმე პერგამენტის ხელთ-ნაწერი აღმოუჩენიათ. კარგი იქნება ამ ბერის წიგნთ-საცავი შთამომავლობას არ დაეკარგოს და კარგს და საიმედო ადგილას, თუნდა „წერა-კითხვის საზოგადოებაში“, ინახებოდეს.

*** აქაური გაზეთები იუწყებიან, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის მთავრობას აწ გარდაცვალებულის პროფ. პატკანოვის კათედრა სომხურის ენისა მიუცია ბ-ნ ნ. მარისათვის.

*** ტფილისს გამოგაზაფხულებაზედ ყოველთვის ბევრი გასართობი და დროს გასატარებელი ადგილი გამოუჩნდება ხოლმე. მაგალითებრ, ტფილისის საზაფხულო თეატრში ამ ჟამად რუსულ წარმოდგენებსა ჰმართავს მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტთა ამხანაგობა; ქართული თეატრი ბალეტს დაუჭერია; „Семейный садъ“-ში ოპერეტებსა ჰმართავენ და ამას გარდა იქვე კონცერტებსა ჰმართავს სახალხო მგალობელი ალექსანდრე ყარაგეორგიევიჩი სლავიანურის ხოროთურთ; ევროპის ბაღში ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით ბალ-მასკარადები იმართება; მუშტაიდისა და ალექსანდრეს ბაღებში თითქმის ყოველ კვირაა ლატარია ალეგრები საქველ-მოქმედო აზრით და აი, დღესაც დანიშნულია სახალხო სეირნობა მუშტაიდის ბაღში ციმბირში გაგზავნილთა შვილების თავ-შესაფარის სასარგებლოდ; ესრედ წოდებულს გერმანიის ბაღში ყოველ ღამ სეირნობაეა; შვეიცარიის ბაღში ჯამბაზები ჩამოსულან; ლორთქიფანიძის ტრამვაიაში ყოველ დღევა სეირნობა გამართული; ვასილიევის ბაღში ვიღაც ვენგრიელი მომღერალი ქალები გაჰკივიან ყოველ საღამოს თეთრად გათენებამდე რუსულსა და გერმანულს საგალობლებს და ათასი კიდევ სხვა, ვინ ჩამოსთვლის და რა ჩამოსთვლის. აქ ვასილიევის ბაღის მომღერლებზედ-კი, თუმცა არა ერთხელ გვითქვამს და თუმც ჩვენი ხმა დარჩენილა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, მაინც კვლავ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ მომღერალ ქალებს რომ ფეხი ამოაკვეთინონ ტფილისიდამ, ძალიან კარგს იზამენ, რადგან ეს ქალები თუ გარყვნილებას არ ავრცელებენ ქალაქში, თორემ მათგან ესტეტიურის სიამოვნების ნატამალიც-კი არავის მიუღია. ამ ბაღის მოიჯარადრეს—გერმანელს ეხლა კიდევ ცალკე ოთახები გაუმართავს და ამ ოთახებში ერთი ღრიანცელი და ვაი-უშველებელი ტრიალებს ბინდიდგან დაწყებული დილის რვა-ცხრა საათამდე. საკვირველია, ჩვენს პოლიციას რატომ ასე მოუყრუებია ყური და ხელებს არ გაანძრევს?!.

*** ბათუმი: ჩვენის ქალაქის გამგეობის კასის გამძარცველთ—სამს მწერალსა და ერთს სტოროჟს სასამართლომ უკვე დაუდგინა თვისი განაჩენი. სტოროჟს ტუსაღთა როტაში ყოფნა გადუწყვიტა ორის წლით, ორს მწერალს ქალაქის გამგეობისას ტომსკის გუბერნიაში გაგზავნა და მესამე მწერალს, 17 წლის ყმაწვილ-კაცს, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღო ქურდობაში, ხოლო მოპარულს ბლანკებზე ბრალდებულთათვის პასპორტები დაეწერა, საპატიმროში დამწყვდევა განუჩინა ორის თვის განმავლობაში.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ მოუვიდა ქალაქ ახალ-ქალაქიდგან 102 მან. და 2 კაპ. აი შემომწირველთა სია:

აბაშიძე თ. მ. გ. —3 მან., ავალოვი ჰამიდ ბეგი—2 მან., ალხაზიშვილი ილია—10 მან., ფარსეღიანცი ტერ-ხორენა—1 მან., ბეზირგანოვი ნ. ბ. 5—მ., ბერიძე ა. ნ.—2მან., გამხაროვი ბარალეთის მასწავლებელი 1 მან., გეგიძე ხიზაბავრის მასწავლებელი—1 მან., გვარამაძე ბესარიონ—1 მან., თ. ი. გ. ერისთავი—3 მან., ეახრამოვი ოჰანეზა—1 მან., ა. მ. ვექილოვი—2 მან., კრილოვი ნ. კ. ექიმი—1 მან., კონსტანტინოვი ვასო—2 მან., კრიაშეევი ვ. კ.—1 მან. 52 კაპ., კუზნეცოვი ვ. ი.—3 მან., ლაზარევი ტერ-პოლოსა ხიზაბავრის მღვდელი—1 მან., ლომინაძე ვ. მ.—3 მან., მიქელაძე ქილდის მასწავლებელი—1 მან., მეტრეველი ქილდის მღვდელი—1 მან., მურადოვი ზაალი მასწ.—1 მან., მუსხელაშვილი მ. ი.—10 მან., №№—1 მან., №№—1 მან., №№—50 კ., სადიკოვი პოლკოვნიკი—3 მან., ტიზენგაუზენი ბარონი ო. ლ.—5 მან., ფალავანდოვი მუსტაფა ბეგი—2., ფიცხელაური ალექსანდრე—3 მან., ქანანოვი ა. ი.—3 მან., ყირხქესალოვი პეტრე—10 მან., შირაევისა მარია—1 მან., ჩიგოგიძე მასწავლებელი—1 მან., ჩიტაძე იოსებ მღვდელი—5 მან., ჯავროვი პარმენი—10 მან.

გამგეობა საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნენ დროებით სამსახურიდგან წარსულის თვის მაისის 25-დგან: რუსეთს: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი გროსმანი—28 დღით; საზღვარ-გარეთ: კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებაში მყოფი კოლეჟსკი ასესორი თავ. ერისთავი—4 თვით; რუსეთსა და საზღვარ-გარეთ: ლეჩხუმის მაზრის უფროსი სტატსკი სოვეტნიკი ალშიბაია—2 თვით.

ნადვორნის სოვეტნიკობა ებოძათ კოლეჟსკი ასესორებს: საქალაქო სასწავლებლების მასწავლებელ-ინსპექტორებს: განჯისას—ონისიმე ცერცვაძეს 1888 წლის 1 ივლისიდგან, დერბენტისას—ლევან გრიგოლაშვილს იმავე წლის 1 ივლ., მასწავლებლებს: ქუთაისის პროგიმნაზიისას-ნიკოლოზ მაჭავარიანს 1887 წ. 1 ივლის., ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთ: შაქრო ლომინაძეს 1 ივლისიდგან, ალექსანდრე ნიჟარაძეს 1 ივლისიდგან, ოზურგეთისას—სპირიდონ თოფურიას 1 ივლისიდგან.

კოლეჟსკი ასესორობა ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკს: რაჭის სასწავლებლის ზედამხედველ-მასწავლებელს მალაქია ჯაფარიძეს 1 ივლისიდგან.

ტიტულიარნი სოვეტნიკობა—კოლლეჟსკი სეკრეტარს: გორგიევსკის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ივანე მეხეს 1 ივლისიდგან.

გუბერნიის სეკრეტრობა—კოლეჟსკი რეგისტრატორს: ცხინვალის სასოფლო სასწავლებლის ზედამხედველ-მასწავლებელს გრიგოლ კობახიძეს 1886 წ. 24 სექტემბრიდგან.

კოლეჟსკი სეკრეტრობა ებოძათ მასწავლებლებს საქალაქო სასწავლებლებისას: ქუთაისისას—მელიტონ ჭიჭინაძეს 1879 წ. 1 ივლისიდგან, ყარსისას—მალაქია მუსელიანს 15 აგვისტოდგან, ნუხისას—ნიკოლოზ ჩიკვაიძეს 1884 წ. 15 აგვისტოდგანვე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქუთაისი, 1 ივნისი. ანდაზა „უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ სწორედ ქუთაისზე არის ნათქვამი: დღითი დღე ახალ-ახალი განსაცდელი ეწვევა ხოლმე ამ ჩვენს ქალაქს. მართალია, ბუნებამ არაფერი დააკ-

---

ნას. თავიანთ ოჯახში-კი, მომეტებულ ნაწილად, ისევ ქართულს ლაპარაკობენ. 1850 წლამდე არც ერთი ინგილო არ იტყოდა, რომ მე მუსულმანი ვარო; არ ეძახდნენ იმათ მუსულმანებს თვით თათრებიც და ლეკებიცა, მაგრამ ახლა-კი ყველაფერი შეიცვალა. თუმცა იმათ არა ჰყვანდათ მღვდლები, არ იყვნენ მრავალნი მათგანნი მონათლულნი, მაგრამ მაინც ფარულად ქრისტიანობდნენ და თათრებისა და ლეკებისაგან შორს ეჭირათ თავი. არც იმათ ქალს შეირთავდნენ ცოლად, არც თითონ მიათხოვებდნენ. 1863 წლის შემდეგ-კი ხალხმა იწყო იმათთან დაახლოვება. ეხლა ისინი თითონაც ირთავენ იმათ ქალებს ცოლად, თავიანთსაც ათხოვებენ იმათს შვილებზე და ამ გზით ივიწყებენ ქართულს ენას და ქართველობაც ირღვევა მაზრაში.

მიზეზი ქართველთა ეროვნების დარღვევისა ზაქათალის მაზრაში ზევრი სხვაც არის. იმათ აღწერას რომ შევუდგეთ, ძალიან შორს წაგვიყვანს საქმე ვიტყვით მხოლოდ, რომ 1863 წელს შემდეგ ინგილოებს სრულიად დაეკარგათ იმედი უკეთესის მერმისისა. 300 წლის განმავლობაში იმათ უცადეს შველას საქრისტიანოსაგან და თითონ დაიცვეს დიდის წვალებითა და ვაი-ვაგლახით თავიანთის მამაპაპის ჩვეულება, ზნე და სარწმუნოება (1850 წლამდე). იმათ არ მიიღეს მაჰმადის სარწმუნოება, ვიდრე რუსეთი დაიპყრობდა მაზრას. ჯერ წინაპ რველად, დამკვიდრდა თუ არა მაზრაში რუსეთის უფლება, იმათ მიეცათ იმედი, რომ ახლა მოსვენებით ვიქნებით და ისევ დავუბრუნდებით აშკარად ჩვენს მამა-პაპის ქრისტიანულს სარწმუნოებასაო. 1850 წლიდგან, მართლაც, იმათ მიიღეს ქრისტიანობა, მოიწვიეს მღვდლები, დაარსდა სამრევლოები და განწესდნენ მღვდლები, დაიწყეს აშენება ეკკლესიებისა, მაგრამ 1863 წელს მოხდა მაზრაში მუსულმანთაგან არეულობა, რომელიც ქრისტეს მტრებმა დააბრალეს ქრისტიანობის გავრცელებას. სიცრუით სავსე კაცებმა მოახსენეს, სადაც ჯერ იყო, რომ მაზრის დასამშვიდებლად საჭიროა აღკრძალულ იქმნას ქრისტეს სჯულის გავრცელება ინგილოთა შორისო. მათი სურვილი აღსრულდა. გამოვიდა ბრძანება: ხელი აელოთ ეკკლესიების აშენებაზე და ინგილოთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაზე. ამის გამო ეკკლესიების ასაშენებლად მომზადებული მასალა დაილუპა ხალხის თვალის წინ. ეს კიდევ არაფერი. უფრო დიდი ბოროტება ის იყო, რომ მონათლულს ხალხს ნება მისცეს მაჰმადიანობა მიეღო, თუ არა სურდა ქრისტიანობა. გაუნათლებელმა ხალხმა ნების დართვა ბრძანებად მიიღო, იგრიალა და მომეტებული ნაწილი გადავიდა მაჰმადის სჯულზე. 15,529 ინგილოთაგან ქრისტეს სჯულზე დარჩა მხოლოდ 3,500 კაცი.

სარწმუნოებით გაყრის შემდეგ ინგილოები ერთმანეთს გაუუცხოვდნენ კიდეც და ეხლაც ერიდებიან ერთმანეთს. წინად-კი, ვიდრე ეს მოხდებოდა, იმათ ჰქონდათ შემოფარგლული ერთი წრე საერთო ცხოვრებისა. ამ წრეში ვერ შეეძლო შემოსვლა თათარსა და ლეკს. შორი-შორს ეჭირათ იმათ თავი ერთმანეთისაგან. ეხლა-კი, როცა ინგილოთ მიიღეს სჯული მაჰმადისა, ლეკები და თათრები ემოყვრებიან ერთმანეთს, აქვთ მისვლა-მოსვლა, მეგობრობა და ნათესაობა. ამ ჟამად თათარი, ლეკი და ინგილო-მაჰმადიანი სარწმუნოებას გაუერთებია. მრავალი ინგილო ახლა ჩასახლებია თათრებსა და ლეკებს სოფელში და სრულიად დაუკარგავს ქართველობა. ბევრნი არიან ასეთნი მაგალითად სოფელს ფალდაროში, ჩუდულიუში, ფისტუულუში, ქაფანაქჩიაში და სხვაგან. თითონ თათრებიცა და ლეკებიც მოდიან ამათ სოფლებში და სახლდებიან. საცა წინად, 1863 წლამდე, არც ერთი თათარი არ იყო, ახლა ოცობითა და ასობით მოიპოვებიან.

თუმცა მაჰმადიან-ინგილოებში ქრისტიან ინგილოებს ბევრი ნათესავები ჰყავთ, ერთის გვარისანი არიან, არიან ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მაგრამ შესწყდა 1863 წ. შემდეგ მათ შორის ყოველივე კავშირი და მისვლა-მოსვლა. იმათ შორის აღარ შეიძლება ერთმანეთში ქალების გათხოვება, როგორც უწინ იყო, ვიდრე გამაჰმადიანდებოდნენ. თვით ამ სტრიქონების დამწერს ბევრი ნათესავები ჰყავს ალიაბათში და მოსულში, მაგრამ მათთან ყოველივე კავშირი შეწყვეტილია. ბევრჯელ ეცადა ის იმათთან დაახლოვებას, მაგრამ არ დასცალდა. მაჰმადის სჯული ნებას არ აძლევს იმათ დაახლოვებისას ქრისტიანთან. აღარც ენას, აღარც წარსულს საერთო ისტორიას მუსულმანებზე დამაკავშირებელი გავლენა აღარა აქვს. თუმცა ერთმანეთში კიდევ კანტი-კუნტად მისვლა-მოსვლა აქვთ, თუ რომ რამე გაუჭირდათ, მაგრამ ისე ექცევიან, ისე ეპყრობიან და უცქერიან ერთმანეთს, როგორც უცხონი და უცხო ტომის შთამომავალნი. გავა კიდევ რამდენიმე წელიწადი და სრულიად დაირღვევა, გაუქმდება ქართველობა მუსულმან ინგილოებს შორის.

ასე და ამ სახით ინგილოები, შთამომავლობით ქართველნი, ორად არიან გაყოფილნი. შემდგარა ორი დასი, ორი გუნდი, ურთიერთის წინააღმდეგი. ისინი ერთმანეთს აღარ ინდობენ და აღარ ესარჩლებიან უწინდებურად. გამაჰმადიანებულ ინგილოთ დაუკარგავთ ქართველობის გრძნობა, ეროვნება და მიმხრობიან თათრებსა და ლეკებს. ესა სწყინთ იმათ ქრისტეს სჯულის აღმსარებელ თანამოძმეთ და ჰხმარობენ ყოველს გონებითს ძალ-ღონეს, რომ გზა-არეული ძმები ჰკუაზე მოიყვანონ, დაბრუნდნენ მამა პაპის სჯულზე. ამათზე არა ნაკლებ მეცადინეობენ გამაჰმადიანებული ინგილოებიცა, რომ ქრისტიანი ინგილოები თავიანთ სჯულზე გადაიბირონ. ამ გარემოებას გამოუწვევია ხალხში დაუძინებელი მტრობა. მათ შორის უფრო მომეტებულს მძლავრობას იჩენენ გამაჰმადიანებული ინგილონი: ჯერ პირველად იმისათვის, რომ ისინი 12,000 სულზე მეტია, ხოლო ქრისტიანენი არიან 3843, მეორედ—იმათი მხარე უჭირავთ ზაქათალის მაზრის მუსულმანობას—ლეკებსა და თათრებს. რა ხრიკებსა და ოსტატობას არა ჰხმარობენ ესენი, რომ დასჩაგრონ მონათლული ინგილოები, მაგრამ კაკელი ქრისტიანები იმათ კრიჭაში უდგანან და ერთხელვე გაკვალულს გზას არა ჰღალატობენ. იმათ აღმართეს პირველად მაზრაში დროშა ქრისტიანობისა. კაკელებს ჰქონიათ მუდამ პირველობა ინგილოთა შორის. კაკი არის რეზიდენცია ქართველთ ეროვნებისა ზაქათალის მაზრაში. ეს კარგად იციან ყველა ინგილოებმა, იციან აგრეთვე ლეკებმა და თათრებმაც და ძალიან ილესავენ იმათზე კბილებს: მუდამ იტაცებენ იმათ ქონებას, უტევებენ უბრალო საქმეზე სასამართლოში დავიდარაბას, საჩივარს, ჩხუბს, უწვავენ სახლებს, ჰპარავენ ძნას, საქონელს და ყოველსავე, რასაც მო-

ლო ქუთაისს, მორთო და მოკაზმა იგი საგანგებოდ, მაგრამ ის უნარი არ დაანათლა, რომ კაცის გულის შეპყრობა და დატყვევება შესძლებოდეს. იგი ეხლა საცოდავი სანახავია. წარმოიდგინეთ, ერთ დროს სახელ-განთქმული ლამაზი და შნოიანი ქალაქი, რომელსაც რაიმე შინაგანი სენი ღრღნის და უდროოდ სიბერე სწვევია. იგი მაინც თავს არ უჯერის: ძველებურად კოხტაობს და კეკლუცობს, მაგრამ ეს აღარ შეშვენის, მისი დღე დათვლილია. იმის მკერდზე გაფურჩქნილია ნორჩი კოკობი, ახალგაზდა ქმნილება, ჯანითა და სიცოცხლით სავსე, და ამ ახალს ქმნილებას ძალიან ეადვილება ადამიანის გულის მოგება და გადაბირება. ეს ბედნიერი ქმნილება დღეს ბათუმია, რომელმაც ჯერ ფოთს მოსწყვიტა წელი და ეხლა ქუთაისს უპირობს გათახსირებას.

ქუთაისის ბედის უკუღმა დატრიალებას დასაწყისი ლ—ვმა დაუდო იმით, რომ რკინის გზა ააცილა. მას შემდეგ ქუთაისმა ველარ წამოიღო წელი, თუმცა ბევრი ეცადა. ამ მეცადინეობამ ფხიზელი ქუთათურები იქამდე მიიყვანა, რომ ისინი ცეცხლსაც არ დაერიდნენ, გადასწვეს ერთხელ ქუთაისი, გადასწვეს მეორედ, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. პირველის გადაწვის შემდეგ თითქო ცოტაოდენი შეღავათი მიეცათ, „სტრახის“ ფული მიიღეს, გამოჭიმეს სახლები, მაგრამ თავისი ვის დაუკარგავს? დამზღვეველ საზოგადოებამ ერთი-ორად და ერთიათად გადაახდევინა თავისი დანაკლისი ქუთათურებს და ამითი მოსწყვიტა იმათ წელი.

ამ მდგომარეობაში ქუთაისი კიდევ მილონღიალებდა როგორც იყო აქნობამდე, მაგრამ დღეს-კი სრულებით დაეცა სულითა და ხორცით.

რის ვაი-ვაგლახით ქუთაისი ეღირსა ამ ათიოდე წლის წინად ქალების გიმნაზიის დაარსებას. ეხლა ქალების გიმნაზია გააუქმეს: მერვე კლასი მოსპეს და დანარჩენი სამი უმაღლესი კლასი წააბეს წინანდელ „ზავედენიე“-ს, ასე რომ საეჭოა, იქაური კურს შესრულებული ქალი იქნება გიმნაზიის უფლებით აღჭურვილი თუ არა. ეს კიდევ არაფერი. აქ იყო „გოსპიტალი“, რომელიც დიდად სასარგებლო იყო ქალაქისათვის, როგორც ნივთიერად, ის სხვაფრივადაც. ეს გოსპიტალი ლაზარეთის ხარისხზე ჩამოაქვეითეს. განსხვავება ამ ორ დაწესებულების შორის დიდია, თუნდა ისა, რომ ლაზარეთში მძიმე ავადმყოფი არ მიიღება.

გოსპიტალი, როგორც ამბობენ, ბათუმში გადააქეთ, ამასაც ჯანი გავარდეს. ეხლა ლაპარაკი ასტეხეს გიმნაზიის გადატანაზე. თუმცა ოფიციალურად ამაზე არაფერი ვიცით, მაგრამ კერძო ცნობა-კი გვაქვს.

აქაური გიმნაზია, როგორც მოგეხსენებათ, კერძო სადგომშია მოთავსებული, ბ-ნ აკოფაშვილისა და თუმანიშვილის სახლებში. ამ სახლის შეძენა დააპირა წელს თავად-აზნაურობამ 120 ათას მანეთად და დაადგინა კიდეც ამის შესახებ გადაწყვეტილება ბანკის ყრილობის დროს, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა ბ-ნმა სტოიანოვმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას შემდეგის განცხადებით: რადგან ამ სამის წლის შემდეგ გაუდის ვადა იმ პირობის წერილებს, რომელიც იყო შეკრული მთავრობასა და აკოფაშვილ-თუმანიშვილებს შორის, და ვინაიდგან გიმნაზიის შენობა ძლიერ ვიწრო შეიქნა, ჩვენ, ესე იგი გიმნაზიის მთავრობა, ვაპირებთ გიმნაზიისათვის ახალ შენობის აგებასაო და ამისათვის გთხოვთ მიგვიჩინოთ საჭირო ადგილი არა ნაკლებ ერთის დესიატინისაო. ამ საგანზე ქალაქის გამგეობას წინადაც ჰქონდა სჯა და მიუთითა გიმნაზიის მთავრობას ქალაქის განაპირაზე, სალორიაში, მაგრამ ეს ადგილი მთავრობას არ მოეწონა და მოუხერხებლად ჩასთვალა სიშორის გამო.

იმავე განცხადებაში არის მოხსენებული სხვათა შორის, რომ ამ შენობის აგებისათვის საჭირო ფული, 180 ათასი მანეთი, კიდეც მოგვეპოვებაო.

ბ-ნს დირექტორს კერძო ლაპარაკში უთქვამს, რომ თუ ქუთათურებმა ამ შემთხვევით არ ისარგებლეს და ალაგი არ მიგვიჩინესო, შესაძლოა გიმნაზია ბათუმში გადაიტანონ, რადგან იქ ალაგსაც მოგვცემენ და შეიძლება სახლის აშენებაშიაც დაგვეხმარონო.

აი ამ საგანზე ჰქონდა გუშინ წინ ბაასი ქალაქის საბჭოს. ზოგი ხმოსანი, მაგ., დ. ლორთქიფანიძე, ლოლუა და სხვები, ამტკიცებდა, რომ უსაფუძვლოაო ხმა, ვითომ გიმნაზია ბათუმში უნდა გადაიტანონო. შეუძლებელია გუბერნიაში ერთი გიმნაზია არ იქნეს და ან ეს გიმნაზია სადმე განაპირას გადაიტანონო. სხვებს-კი და განსაკუთრებით ვაჭრებს შიში მორიეოდათ და ადვილად სჯეროდათ, რომ ეს შესაძლებელია მას შემდეგ, რასაც შევესწარითო.

ბოლოს გადასწყვიტეს სთხოვონ ქალაქის თავს წავიდეს ქალაქს და მოელაპარაკოს ამ საგანზე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, გაიგოს ამის შესახებ იმისი აზრი, შეატყობინოს ქალაქის სიღარიბე და იმის მდგომარეობა, და თუ მართალი გამოდგება, რომ გიმნაზიის გადატანას აპირებენო, მაშინ ვეცადოთ ეს სამწუხარო ამბავი თავიდგან ავიცილოთო. ჯერ-ჯერობით-კი ბ-ნს სტოიანოვს ვერაფერი პასუხი მისცეს, რადგან ქალაქს არა აქვს შუაგულს ქალაქში ალაგი და არც საშუალება, რომ მოიპოვოს იგი. მოგეხსენებათ, შეშინებული ძაღლი სამი წელიწადი ჯირკს უყეფდაო. ქუთათურები ისე აიტანა შიშმა, რომ წარმოდგენილი აქვსთ—ბათუმს გუბერნიის ქალაქად გახდიანო და ყველა დაწესებულებას იქ გადაიტანენო. რასაკვირველია, ეს საფიქრებელიც არ არის, რადგან ცოცხალი მაგალითი თვალ-წინა გვაქვს: ოდესა რა ხანია ჰყვავის და დიდდება, მაგრამ დღემდე ვერ ჩამოურთმევია გუბერნიის ქალაქობა ხერსონისათვის.

დასასრულ დავუმატოთ, რომ ჩვენი მრჩენელი და სიმდიდრე სიმინდი დაეცა ფასში ერთი-ორად: შარშან ბათმანი იყიდებოდა 45 კაპ., ეხლა-კი 25 კაპ. არავინ ყიდულობს. შავ ქვას აღარ აწარმოებენ. ღვინის მოსავალი ცუდი გვქონდა და ეხლა კიდევ სხვა-და-სხვა ვაზის ავადმყოფობასთან ერთად ფილოქსერაც აღმოაჩინეს. ერთად ერთი იმედი გვქონდა ქვანახშირის წარმოებისა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერც იმან მოიკიდა რიგიანად ფეხი, თუმცა სასიმედო ნიშნები-კი ჩანს. არ მინდა სამწუხარო ამბით გავათავო და ამიტომ ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა ჩავაკერო აქ ამას წინად ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა საკუთარი სადგომი აიშენოს სამეფო ნასახლარზე

ეს აზრი გადაწყვეტილია, მაგრამ რათა შენობაც კარგი გამოვიდეს და შეღავათიც მიეცეს ქალაქის გამგეობას ხარჯის გაწევის დროს, გამგეობამ მოლაპარაკება ჩამოაგდო აქაურს კლუბთან. კლუბიც დასთანხმდა ქალაქისაგან სახლის დაექირავებინა და ფასი დაუდო ყოველ წლიურად სამასი თუმანი, ამ რიგად კლუბი და ქალაქის საბჭო ერთ ჭერ ქვეშ იქნება მოთავსებული.

ზესიკი

# მამა და შვილი

(თარგმანი)

დიდის ხნის წინად ერთის აღმოსავლეთის თავადი თავის სამფლობელოს ათვალიერებდა. მშვენიერს ტაიჭზედ ამხედრებულმა და მშვენიერის ამალით გარშემორტყმულმა თავადმა ერთის სოფლისკენ გაიარა. სოფლის ბოლოს თავადმა ერთის ქოხის წინ უეცრად დაინახა გლეხ-კაცი, რომელსაც რაღაც ეჭირა და აქანავებდა.

თავადი მიუახლოვდა ამ კაცს, ცხენის კისერზედ დაიხარა და დაინახა, რომ გლეხ-კაცს პატარა ბავშვი ეჭირა, ფალას-ფულასსა და ჩვრებში გახვეული.

— ეჰე, ძმობილო! დაუძახა თავადმა: განა მაგ პაწიას დედა არა ჰყავს?

— ამისი დედა—ჩემი ცოლი გარდაიცვალა, ყოვლად მოწყალე ბატონო, და ამიტომ მე ვუვლი და ვპატრონობ ობოლს.

— და მერე როგორ ასდიხარ, არ გიძნელდება?

— სულაც არა, ბატონო! პირ-იქით, ეს ყმაწვილია ჩემი სიხარული და ნუგეში! რა დამემართებოდა, რომ ღმერთს გამოეცალა ჩემთვის ხელიდგან, თავს აღარ ვიცოცხლებდი!.. ეს ბავშვია ეხლა ჩემი იმედი, ნუგეში და საზრუნველი. ამასთან უფრო ადვილად ვიტან ყოველსავე ტანჯვა-მწუხარებას. დილიდგან საღამომდე თავს დავსტრიალებ, თხის რძით ვასაზრდოებ, ვწვენ და, როცა იღვიძებს, ვეთამაშები და ვართობ, რამდენადაც შემიძლიან...

თავადიშვილმა ფული გადაუგდო და ცხენს გავაზედ შემოჰკრა. გაიარა ხუთმა წელიწადმა. თავადმა კვლავ მოიარა თავისი სამფლობელო, მივიდა იმავ სოფელში და იმავ გლეხ-კაცის სახლ წინ შესდგა. ეზოში ლოყა-წითელი და ბუთხუზა ბიჭი თამაშობდა და გვერდით მამა უდგა.

— ეგ ყმაწვილი ის არის, რომელსაც შენა ჰზრდიდი? — ჰკითხა თავადიშვილმა.

— ის არის, ბატონო! ბევრი ღონე შევალიე ამ ყმაწვილის აღზრდას, ბევრი უძილო ღამე გავატარე ამის სარეცელთან, ბევრჯელ ავად გამიხდა და სიკვდილს მალათი გამოვგლიჯე ხელიდგან. აი ეხლა-კი პატარა მოღონიერდა და ფეხზედ დადგა.

---

ახელებენ. ერთის მხრიდამ ნუხის მაზრის თათრები, მეორეს მხრიდამ ზაქათალის მაზრის მუსულმანები მოსვენებას არ აძლევენ იმათ. ამ მტერთა შორის ამ ჟამად მრავალი დახელოვნებული ქურდია და ეს ქურდები ძლიერ ებრძვიან ქრისტიანებს. რასაკვირველია, არც ქრისტიანე ინგილოები უთმობენ, მაგრამ უმცირესობას რა შეუძლიან უმრავლესობასთან, ძალიანაც რომ ღონიერი იყოს ჭკუითა და გონებით. ამ უმრავლესობასთან ბრძოლა კიდევ ადვილად შეიძლებოდა, რომ სხვა გარემოებაც ხელს არ უშლიდეს—იმათი მხარე უჭირავს მაზრაში შარიათსაც. აქაური ოლქის სასამართლო დაფუძნებულია მაჰმადის სჯულის შარიათზე, ხოლო შარიათი ნებას არ აძლევს მუსულმანს, რომ ქრისტიანის მხარე დაიჭიროს, თუნდა მართალიც რომ იყოს. არა ერთი და ორი ქრისტიანი ინგილო თავის სორებით გამოსულა სასამართლოდამ და უთქვამს სიმწარით: „თუ ქრისტიანი ვარ, ქრისტიანულ კანონით გამასამართლონ, თათრის შარიათს რა ხელი აქვს ჩემთან: მოლა, ყადი, ეფენდი რათ ერევიან ქრისტიანის საქმეშიო“. მართლაცა-და ძნელად იქნება, რომ ქრისტიანი გამართლდეს, თუ რომ იმას საქმე აქვს მუსულმანთან, თუნდა ეს უკანასკნელი იყოს მოუნათლავი ინგილო, ლეკი და თათარი. და თუ ვინმემ ხმა ამოიღო და მონათლულებს წაესარჩლა, მაშინვე იმას მიახლიან პირში, რომ მცირედის ინტერესები უნდა ემორჩილებოდეს უმრავლესობისასაო. ზაქათალის მაზრაში ბევრისაგან არა ერთხელ ეს უგვანო აზრიც-კი გამიგონია: „ქრისტიანები ცოტანი არიან მაზრაში, მუსულმანობა-კი მომეტებულია; ამისათვის პირველნი მუდამ წვალებაში იქნებიან და, ადრე თუ გვიან, ძალაუნებურად, ან მაჰმადიანობა უნდა მიიღონ, ან სრულიად უნდა დაემორჩილნენ მუსულმანთა უმრავლესობას. უკანასკნელს შემთხვევაში ქრისტიანების ცხოვრება უფრო გაძნელდება, გაუგემურდება, გამწარდება, ზოგს მათგანს მოჰკლავენ, ზოგს განგებ უჩივლებენ და ციმბირში თავს ამოაყოფინებენ, მოჰპარავენ, დაარბევენ, აიკლებენ, და თუ საქმე სამართლამდე მიაღწევს, ცრუ მოწმობითა და ქომაგობით მართალს ქრისტიანს გაამტყუნებენ და მტყუანს მუსულმანს გაამართლებენო“.

ვგონებ არცა სტყუიან ეს ცრუ-პენტელა მომქმედნი. მაზრა ეხლა ისეთს მდგომარეობაში არის ქურდებისაგან, რომ კალამს არ შეუძლიან მისი აღწერა. გაზეთის მეურნის თანამშრომელი არა სტყუის, როცა ამბობს, რომ საინგილოში ქურდობის სკოლა არსებობსო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქურდები მარტო ინგილოები იყვნენ. საინგილო ზაქათალის მაზრასა ჰქვიან და აქ სცხოვრებს სამი ხალხი: ლეკი, თათარი და ინგილო. ავტორი „მეურნის“ წერილისა იგულისხმებს ყველა ამ ხალხებს და არა მარტო ინგილოებს. ბ-ნი სანო-კი, „ივერიის“ ფელეტონის „ქართველთა შორის“ ავტორი, ძალიანა სცდება, როცა „მეურნის“ წერილის შინაარსს მთლად ინგილოებს მიაწერს და ყველას ქურდად და ავაზაკად ჰხდის. ამიტომ ვეჩქარები ეს შეცდომა გავასწორო. მე, როგორც ქრისტეს მორწმუნე ინგილო, არ შემიძლიან არ წავესარჩლო ქრისტიან ინგილოებს იქ, სადაც ისინი მართალნი არიან. ჩვენ დიდის ყურადღების ღირსად მიგვაჩნია დარდი და სიხარული სამშობლო ქვეყნისა. გულმა, აღგზნებულმა სამშობლოს სიყვარულით, გამოიწვია დღეს ეს წერილი. მე მსურს ავაცილო ქრისტიან ინგილოებს უმართლოდ კიცხვა. ვერ ვიტყვი, რომ იმათ შორის არ იყვნენ ქურდები. მტაცებელი ყველა ხალხში მოიპოვება. ამ სენს არ არიან მოკლებულნი თვით განათლებულნი ერნიც. მაგრამ რომ ყველანი ქურდები იყვნენ, ეს შეუძლებელია. ამის თქმა არ შეიძლება მაინცა-და-მაინც ქრისტიან ინგილოებზე, იმათში ბევრი პატიოსანი ოჯახი ურევია. ამას ამტკიცებს ის შრომა, ის მოსავალი, რომელიც სანოსა აქვს ჩამოთვლილი თავისის წერილის ბოლოს. ყველანი რომ ქურდები იყვნენ, მაშინ არც შრომისათვის-ღა ექნებოდათ დრო და ვერც იმ ჰირნახულს მოიყვანდნენ, რომლითაც ინგილონი არიან მდიდარნი. ქურდობა ხელ ნაკლების კაცის ხელობაა. მდიდარი კაცი იშვიათად თუ რასმეს მოჰპარავს სხვას. სანოს შეუძლიან თავი იმართლოს, სთქვას, რომ მე არა მითქვამს-რა ჩემად, მე გავიმეორე, დავასურათე მხოლოდ ის, რაც „მეურნის“ წერილმა მასალად მომცაო. კარგი და პატიოსანი. ავტორი წერილისა, რომელმაც გამოიწვია ფელეტონი, ამბობს, რომ „პროფესორის“ ხარისხის ქურდები არიან ლეკები, მულალები და ჭარელებიო, ხოლო წვრილ-წვრილი ქურდობა ინგილოებმაც იციანო. დიაღ! ქურდები ინგილოებშიაც მოიპოვება, მაგრამ ამისათვის მთელის ხალხის საქვეყნოდ ქურდად წოდება მე გაუფრთხილებლობად მიმაჩნია..

მე მაინც იმედი არა მაქვს ჯერ კიდევ დაკარგული. ძლევა და კარგი მერმისი მაინც ქრისტიანებისაა. ძალიან დიდი, დიდი სანუგეშო მოვლენაა, რომ ქრისტიანები განათლებას ეტანებიან. მართალია, სანო საფუძვლიანად დაიცინებს, რომ ზაქათალის მაზრაში სკოლები ძლიერ ცოტააო, მაგრამ მე ვახარებ იმას, რომ რაც არის, ისინი მაინც ქრისტიანებს ეკუთვნით. კაკელების ახალ მოზარდობაში ნახევარმა თითქმის წერა-კითხვა იცის რუსული და ქართული. აგრეთვე ბეჯითად სწავლობენ სხვა სოფლების ქრისტიანებიც სამრევლო სკოლებში: ალიბეგლოში, ყორაღანში, ბელაქანში, ამას გარდა სასულიერო სემინარიაში, თელავის სასულიერო სკოლაში, ზაქათალაში, ქალების ეპარქიალურს სკოლაში, კავკავის გიმნაზიაში, სტავროპოლისაში, და აგრეთვე რუსეთის უნივერსიტეტში. იქამდე გატაცებულნი არიან განათლების სურვილით კაკელები, რომ დღეს ორ-კლასიანს სასწავლებელს აშენებენ. ალიაბათი, მაჰმადიანთა რეზიდენცია, უარ-ჰყოფს განათლებას, აუქმებს სკოლას, ხოლო კაკი აშენებს, და აქ არის იმის ნერგი, რომ ბოლოს ალიაბათი და მასთან ერთად სხვა გამაჰმადიანებულნი ინგილონი მოიხრიან კისერს წინაშე ქრისტიანობისა.

ჩვენი მწერლობა და სასულიერო წოდება უნდა მიეშველოს ინგილოებს. დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნონ მაზრაში მასიონერები და ღვთის მოყვარე მოხელენი, რომ საქმეს უშველონ და გზა-დაბნეულ ხალხს ხელი მოუმართონ. ამის მოვალე უფრო სასულიერო წოდებაა. ის უნდა შეუდგეს თავისის მოვალეობის ასრულებას, შეატყობინოს სასულიერო მთავრობას საქმის გარემოება, მიჰყოს ხელი კეთილ-გონიერებითა თვისითა და შემოუერთოს ეკკლესიას უძღები შვილნი.

მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი

უმაწვილი მივარდა მამას, ყელზედ ხელები მოჰხვია და გულში ჩაეკრა.

— გიყვარს მამა?—ჰკითხა თავადიშვილმა.

— მიყვარსო!—შესძახა ბავშმა და თვალები გაუბრწყინდა.

— ისეც ეტყობაო! უპასუხა მამამ: როცა მუშაობიდგან გვიან ვბრუნდები, ტირის, ნაღვლობს და დამინახავს თუ არა ამ გორის თავზედ, გამომეგებება, ხელებს მომხვევს და ვეღარ მოვიშორებ ხოლმე.

—დიდად მიხარიან, რომ აგეთი ბედნიერი ხარო!—უპასუხა თავადიშვილმა და გაჰქუსლა ცხენი.

გაიარა ათმა წელიწადმა. თავადიშვილმა კვლავ გაიარა ამ კაცის სახლს წინ. გლეხ-კაცი უკვე წელში მოხრილიყო და თმაში ჭაღარა შეჰპარვოდა. იგი ნიჩბით ბოსტანსა სჩიჩქნიდა და ამ საქმეში ეხმარებოდა ლამაზი და წამოსადეგი უმაწვილი კაცი შავის ხუჭუჭა თმით.

თავადმა იცნო გლეხი და უმაწვილი კაცი.

— ოჰო, მამივო,—შესძახა თავადიშვილმა:—ე შვილი კარგად წამოგსწრობია, თითქმის მხარში გყავს ამომდგარი! ჯარში ძალიან გამოდგება შენი შვილი, მოდი მე მომეცი.

—არა, ბატონო, მოწყალე მექმენ და შვილს ნუ გამომწირავ! შვილის წართმევით ჭირის ამხანაგსა და მარჯვენა ხელს წამართმევ და რაღა უნდა ვქნა მერე მოხუცებულმა კაცმა? სიმშილით ხომ სული ამომერთვა და სულ ერთიანად დამეცარა ხელი! ხომ იცი რამდენი ვაი-ვაგლახი გამოვიარე ამის აღზრდაში?

— კარგი, კარგი, არ მოგაშორებ შვილსაო!—დაეთანხმა თავადიშვილი და გზას გაუდგა.

გაიარა თითქმის თხუთმეტმა წელიწადმა. მოხუცდა თავადიშვილი, მოხუცდნენ მისნი მახლობელნი და მხლებელნი, მაგრამ იგი ძველს ჩვეულებას მაინც არა ჰღალატობდა, კვლავ მოიარა თავისი სამფლობელო და მიადგა იმავ გლეხკაცის ქოხს.

გლეხის ქოხი გვერდზედ იყო გადახრილი, ჭერი ჩამოჰქცეოდა და დედამიწაში დაეწია. გაალმაცერებულს დირეზედ თავადმა დაინახა მოუძლურებული და წელში შვიდად მოხრილი მოხუცი, რომელსაც სახეზედ ხელები ჰქონდა მიფარებული, თითქო სძინავსო.

ამ ქოხს გვერდით, მაგარს ღობეს იქიდგან, ამართული იყო ახალი სახლი, რომლის ეზოშიაც მხარ-თეძოზედ წამოწოლილიყო, უმაწვილებით გარშემოხვეული, მაღალ-მაღალი, შავ-წვერა ვაჟკაცი.

თავადი მიუახლოვდა მოხუცს და ხმა მისცა. გლეხმა ოდნავ აიწია თავი.

— როგორ გიკითხო, მამაო! მცნობ? შესძახა თავადიშვილმა.

— როგორ არა, ბატონო!—ჩაიფიჩფიჩა გლეხმა:—თუმცა თვალის სინათლე-კი გამომეცალა ცოტა, მაგრამ შენს მფირფასსა და ოქრომკედით შემკულს სამოსს მაინც ვარჩევ.

— რატომ ეგრე მარტო ხარ, შვილი სადა გყავს?

— ჩემი შვილი!..—ავანკალებულის ხმით ჩაილაპარაკა მოხუცმა და თვალები აენთო:—აღარა მყავს შვილი, აღარა, აღარა... შვილი-კი არა, მტერი გამიჩნდა, მძვინვარე, შეუბრალებელი მტერი! აიგერ თავისს სახლის დირეზე წამოწოლილი! ყოველ დღე გადმომხედავს ხოლმე ავაზაკსავით და ელის, რომ დავპატრონო ჩემს სკივრს, ჩემს სახლ კარს, ვენახ-ბოსტანს და სახნავ-სათიბ მიწას! საათობით სთვლის ჩემის სიკვდილის დღეს და ცოცხალს რომ დამინახავს ხოლმე, ცოლსა და შვილებს ეუბნება: „ბებრუცუნა ჯერ კიდევ ფეხზეა, ჩვენი გამოჯავრებული მე სიკვდილს არც-კი აპირობსო-და“. ოჰ, ჩემო ბატონო! ავმა და ბოროტმა სულმა ამოაცალა მკერდიდგან ჩემს შვილს კეთილი გული და ქვა ჩაუდვა სამაგიეროდ, შავი ქვა! აღარა მყავს შვილი, აღარა, აღარა! ვაჰმე და ვარამი უშვილოს, უპატრონოს, განმარტოებულს!..

მოხუცმა პირზედ მიიფარა ხელები და უღონოდ დაეშვა დედამიწაზედ.

დაღონებულმა თავადმა ცხენს აღვირი მოჰკიდა და თავ-ჩაქინდრული ნელის ნაბიჯით გაუდგა გზას...

ა—ი

# დეპეშა

3 თიბათვე

ათინა. კრიტიდგან ახალი დეპეშები არ მოსულა, რადგანაც ოსმალეთის მთავრობა იჭერს დეპეშას. საქმე კუნძულზე ძალიან გაჭირებულია, ხიოსშიაც უწესოება მომხდარა, რამდენიმე კაცი მოუკლავთ და ბევრიც დაუტუსაღებიათ.

ვენა. აქ ამბავი მოვიდა, ვითომ დედოფალმა ნატალიამ სთხოვა მიტროპოლიტს მიხეილს, რომ ჩემი და მეფის განქორწინება ისევე დარჩესო.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდველ-ნი | გამყიდველ-ნი | გაყიდულ-ნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 95 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 159¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97½ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 98 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 84¼ | — „ | — „ |

საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

4 დღე კვირა. წმ. მორის მამისა მიტროფანე, კონსტანტინეპოლელ პატრიარხისა. კათოლ. წმ. ფრანცისკოსი. სომეხ. ნახატონაქი. მაჰმად. მე-17 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—37. მთვარე 17 დღისაა.

5 დღე ორშაბათი. მღვდელ-მოწ. დოროთეისა ტვირელ ეპისკოპოსისა. პეტრე-პავლობის მარხვის დაწყება. კათოლ. წმ. ბონიფაცისა. სომეხ. წმ. ქალწ. რიფსიმესი. ნახატონაქი. მაჰმად. მე-18 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—37. მთვარე 18 დღისაა.

ვაჭრული ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თითრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. | |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ფილტვების ჭლექის (ზღმურდლურას) გადამდებლობა და საშუალებანი ამ სენის გავრცელების წინააღმდეგ

ფასი 20 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნები:

გიორგი ბრწყინვალე

მეფე საქართველოსი,

ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა, „წერა-კითხვის საზ.“ გამოცემა, ფასი 20 კაპ.

ვაზის მოშენება, სურათებით, ფასი 1 მანეთი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . | „ | 45 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| ვენეციის მონასტერი, გამოც ღამბაშიძისა . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . | „ | 25 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . . | 3 | „ |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . | 3 | 60 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დანია“,

რომელიც ყოველმხრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზიანთა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—3)

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—18) ა. თუთაევი


Дов. ценз. Тифлисъ 3-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул. и). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე